

დაცული ტერიტორიების დიზაინის გავლენა საკვანძო სახეობების
მდგომარეობაზე

მარიამ არჩუაძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და
საინჟინრო ფაკულტეტი*

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
ბუნებათსარგებლობა (MSC)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ირაკლი მაჭარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2018

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მ.არჩუაძე_09.06.2018_

აბსტრაქტი

ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის უმნიშვნელოვანესია დაცული ტერიტორიების, ეფექტიანი ფუნქციონირება. იმისთვის, რომ დაცულმა ტერიტორიამ, რომელიც კონსერვაციის უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენს, უკეთ უზრუნველყოს სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა, მნიშვნელოვანია მისი დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს შემდეგი კრიტერიუმები: დაცული ტერიტორიის ფორმა, კატეგორია, მთლიანობა, სხვა დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირების შესაძლებლობა და რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ჰაბიტატების წარმომადგენლობითობა.

იმის დასადგენად, თუ რამდენად სწორადაა გათვალისწინებული აღნიშნული კრიტერიუმები საქართველოს დაცულ ტერიტორიებში, ასევე ხომ არ არის რომელიმე კრიტერიუმის ცვლილების საჭიროება, შევაფასე მაჭახელას, მტირალას და კინტრიშის დაცული ტერიტორიები.

კვლევისას დავეყრდენი საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურას, ექსპერტებთან კონსულტაციებს, პირად ინტერვიუებს საკვლევ დაცული ტერიტორიების წარმომადგენლებთან და ასევე GIS - ის რუკების ანალიზს.

კვლევამ აჩვენა გარკვეული ხარვეზები, რომელიც კატეგორიის შეუსაბამობას, ფორმას, დაცულ ტერიტორიებს შორის კავშირების არარსებობას და დაცული ტერიტორიების ფრაგმენტირებას ეხებოდა.

კვლევის ერთ-ერთ კომპონენტს დაცული ტერიტორიების საზღვრებში ბერნის კონვენციით დაცული ჰაბიტატების წარმომადგენლობითობის შეფასება შეადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით მაჭახელასა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები გამოირჩევიან, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მაჭახელას შემთხვევაში ბერნის მეოთხე რეზოლუციის ჰაბიტატებიდან მხოლოდ წიფელია მკაცრი დაცვის

ზონაში წარმოდგენილი, დანარჩენი 4 კაბიტატი კი მცირე ფრაგმენტების სახით ტრადიციული გამოყენების ზონებში გვხვდება, იმ დასახლებების სიახლოვეს, რომლებიც დიდწილად მაჭახელას ეროვნული პარკის მერქნული და არამერქნული რესურსებით სარგებლობენ.

მადლობები

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და ინფორმაციის მოწოდებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით:

ეკატერინე კაკაბაძეს - „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“ (SPPA-საქართველო), ეროვნული კოორდინატორი;

ნატო სულთანშივილს - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის უფროსი;

დავით კობახიძეს - სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაგეგმვისა და განვითარების სამსახური;

კახა არცივაძეს - სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „ნაკრესი“ .

მარიკა ქავთარიშვილს - მაჭახელას დაცული ლანდშაფტის პროექტის კონსულტანტი - UNDP;

გიორგი ქურიძეს- მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი;

ამირან ხინიკაძეს-კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორი;

გიორგი ნემსაძეს-კინტრიშის დაცულ ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი ;

ლეონიდე დარჩიას - მტირალას ეროვნული პარკის დაცვის სამსახურის უფროსი;

განსაკუთრებული მადლობა ქეთევან გლოველს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრს, GIS რუკების დამზადებაში გაწეული დახმარებისთვის.

ნაშრომში გამოყენებულია „მწვანე ალტერნატივას“ პროექტის „ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის განვითარება დაცული ტერიტორიების შესაფასებლად“ მასალები, რომელიც მიმდინარეობს Global Forest Watch (GFW) მხარდაჭერით.

¹“Global Forest Watch” (GFW) პროექტი დაფინანსებულია გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მიერ და ხორციელდება საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მსოფლიო რესურსების ინსტიტუტის მიერ (WRI)